305
1968/3.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 11 (334)

1968 წლის ნოემბერი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 11 (334) ნოემბერი 1968 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ.

163. დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის შესახებ.

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროდ გადარქმევის შესახებ.

განყოფილება მეორე

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. დ. ვ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ლ. ვარდოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ე. ა. ნალბანდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. პ. შონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ცერცვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

10.785

ეროვნული ბიბლიოთეკა

170. გრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფ. ი. ნ. ციცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივ კომისიებში.

საინფორმაციო ცნობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოწვევის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

მოწვეულ იქნეს საქართველოს სსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია 1968 წლის 24 დეკემბერს, ქალაქ თბილისში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1968 წლის 22 ნოემბერი.

დადგენილება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობისადმი ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად, გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საგრძნობლად გაიზარდა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. მიმდინარე წელს რესპუბლიკის სოფლებში დამატებით გაიხსნა 206 მასობრივი ბიბლიოთეკა და 14 კლუბი. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების სახსრებით, კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და სოფლის ინტელიგენციის შრომითი მონაწილეობით აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 15 კულტურის სახლი, 100 კლუბი, 35 ბიბლიოთეკა და სხვა.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისათვის მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განახორციელეს გორის, ზუგდიდის, თელავის, ახმეტის, ჩხოროწყუს, ორჯონიკიძის, ზესტაფონისა და სხვა რაიონების საბჭოებმა.

გურჯაანის, სიღნაღის, სამტრედიის, ჩოხატაურის, მახარაძის და ჩხოროწყუს როგორც რაიონული, ისე სასოფლო საბჭოების აღმასკომები, აგრეთვე კულტურისა და განათლების მუდმივი კომისიები პერიოდულად ამოწმებენ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას და პრაქტიკულ ღონისძიებებს ახორციელებენ მათ საქმიანობაში არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

სასოფლო კულტურის სახლებში, კლუბებსა და ბიბლიოთეკებში სისტემატურად ტარდება ლექციები, მოხსენებები და საუბრები. თითქმის ყველა სასოფლო კლუბთან შექმნილია აგიტმხატვრული ბრიგადა, სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და დრამატული წრე, რომლებიც სისტემატურად გამოდიან მოსახლეობის წინაშე.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა წიგნის პროპაგანდის საქმე. მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით სოფლის მასობრივ ბიბლიოთეკებთან მოქმედებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

2.918 მოძრავი ბიბლიოთეკა და 875 წიგნის გასაცემი პუნქტი. სარაიონო და სასოფლო ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების უმეტესობა ხშირად აწყობს მკითხველთა კონფერენციებს და წაკითხული წიგნების გარჩევა-განხილვას.

ამასთან ერთად, მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი საბჭო საჭირო ყურადღებას არ უთმობს სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას. კლუბებსა და სამკითხველოებში იშვიათად ტარდება ლექციები და მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, შეხვედრები სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანებთან და სხვ. სათანადო ყურადღება არ ექცევა შრომის მოწინავე მეთოდებისა და სამეცნიერო, ათეისტურ პროპაგანდას.

კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში ფართოდ არ არის ჩაბმული ადგილობრივი ინტელიგენცია, სოფლის აქტივი. კლუბებთან და ბიბლიოთეკებთან შექმნილი ზოგიერთი საზოგადოებრივი საბჭო უმოქმედობას იჩენს, კამპანიურ ხასიათს ატარებს მხატვრული თვითმოქმედი წრეების მუშაობა — ოლიმპიადებისა და რაიონული დათვალიერების შემდეგ ეს წრეები ფაქტიურად წყვეტენ ყოველგვარ საქმიანობას.

მარნეულისა და თეთრიწყაროს რაიონებში ზოგიერთ სასოფლო კლუბთან ფორმალურად არსებობენ მხატვრული თვითმოქმედების წრეები. მოსახლეობაში იშვიათად ტარდება ლექცია-მოხსენებები. თიანეთის რაიონის არტნის, ჯიჯეთის, ჩაბანოს და ყუდროს სასოფლო ბიბლიოთეკებთან არ წარმოებს არავითარი წრეობრივი მუშაობა. ამავე რაიონის ღულელებისა და ტყიბულის სასოფლო საბჭოებთან არსებულ კულტურისა და განათლების მუდმივ კომისიებს მიმდინარე წელს არც ერთხელ არ შეუმოწმებიათ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობა.

სათანადო მუშაობა არ მიმდინარეობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაკთა პროფესიონალური და იდეურ-პოლიტიკური დონის ასამაღლებლად. ზოგჯერ კულტურის სახლებისა და კლუბების გამგეებად მუშაობენ ისეთი პირნი, რომელთაც არ გააჩნიათ სათანადო განათლება და გამოცდილება. ამ საქმეში აღნიშნულ დაწესებულებებს ნაკლებად ეხმარებიან შემოქმედებითი ორგანიზაციები.

ზოგ რაიონში სასოფლო საბჭოები და კოლმეურნეობათა გამგეობები საკმარის დაინტერესებას არ იჩენენ სოფლის კულტურულ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის განმტკიცებისადმი.

მარნეულის, ხაშურის, თიანეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო საბჭოების აღმასკომები და კოლმეურნეობათა გამგეობები კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობისათვის ნაკლებად იყენებენ თვითდაბეგვრის თანხებსა და კოლმეურნეობების კულტფონდებს. ამის შედეგად სასოფლო კლუბებისა და ბიბლიოთეკების გარკვეული ნაწილი შეუფერებელ ან დაქირავებულ შენობებშია მოთავსებული.

არსებული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ზემოთ აღნიშნული რაიონების მშრომელთა დეპუტატების ზოგი ადგილობრივი საბჭო, მისი აღმასრულებელი კომიტეტი და კულტურისა და განათლების მუდმივი კომისია სუს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტად აკონტროლებს და არასაკმარის ხელმძღვანელობას უწევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს:

ა) სკკპ XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებათა შესაბამისად გააუმჯობესონ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა, უზრუნველყონ საბჭოების ხელმძღვანელი როლის შემდგომი ამაღლება, ამ დაწესებულებათა მთელი საქმიანობა წარმართონ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შესახვედრად;

ბ) კულტურისა და განათლების მუდმივი კომისიების, დეპუტატების ფართო მონაწილეობით საბჭოების სესიებზე და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე პერიოდულად განიხილონ სოფლად კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის საკითხები და დასახონ პრაქტიკული ღონისძიებანი მის გასაუმჯობესებლად;

გ) განახორციელონ ღონისძიებანი კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების შესაფერისი შენობებით და საჭირო ინვენტარით უზრუნველსაყოფად, დროულად ჩაატარონ მიმდინარე და კაპიტალური რემონტი, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ კულტფონდები და თვითდაბეგვრის თანხები. კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს შეუქმნან მუშაობის ნორმალური პირობები ზამთრის პერიოდში;

დ) მეტი ყურადღება მიაქციონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის კადრების სწორად შერჩევისა და განაწილების საქმეს, იზრუნონ მათი იდეურ-პოლიტიკური დონისა და კვალიფიკაციის ამაღლებისათვის, სასოფლო კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობაში ფართოდ ჩააბან სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ექიმები, მასწავლებლები; განსაკუთრებით იზრუნონ ამ საქმიანობაში ახალგაზრდობის მასობრივი და აქტიური მონაწილეობისათვის;

ე) სოფლის მოსახლეობისათვის სისტემატურად მოაწყონ ლექცია-მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მეცნიერების განვითარებისა და კომუნიზმის მშენებლობის აქტუალურ თემებზე; ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სოფლის ცხოვრების ამოცანების გაშუქებას, წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლასა და ათეისტურ პროპაგანდას;

ვ) უზრუნველყონ კულტურის სახლებსა და სასოფლო კლუბებთან არსებული მხატვრული თვითმოქმედი წრეების მუშაობის გაუმჯობესება, მიაღწიონ იმას, რომ ეს თვითმოქმედი კოლექტივები სისტემატურად გამოდიოდნენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და მოსახლეობის წინაშე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს (ამხ. ო. თაქთაქიშვილი) გააუმჯობესოს ხელმძღვანელობა და დახმარება სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა საქმიანობისადმი და უზრუნველ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოს მათ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა ლიკვიდაცია. სასოფლო კლუბებისა და მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების დასახმარებლად ფართოდ მიიზიდოს შემოქმედებითი ორგანიზაციები, ხელოვნებისა და კულტურის გამოჩენილი მოღვაწენი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1968 წლის 26 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროდ გადარქმევის შესახებ

„სსრ კავშირის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროდ გადარქმევის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 25 ნოემბრის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

შეეცვალოს სახელწოდება საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროს და ეწოდოს მას საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტრო.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 29 ნოემბერი.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

165 ამხ. დ. ვ. გელაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე ამხ. დიმიტრი ვასილის ძე **გელაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1968 წლის 14 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 ამხ. ა. ლ. ვარდოშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის თელავის რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ალექსანდრე ლევანის ძე **ვარდოშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1968 წლის 14 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 ამხ. ე. ა. ნალბანდიშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. ელენე ანტონის ასული **ნალბანდიშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1968 წლის 14 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

168 ამხ ნ. პ. შონიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცხაკაიას რაიკომის პირველი მდივანი ამხ. ნოე პავლეს ძე **შონია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1968 წლის 14 ნოემბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

169 ამხ. ი. ნ. ცერცვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქტორი ამხ. ივანე ნიკოლოზის ძე **ცერცვაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1968 წლის 14 ნოემბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

170 პროფ. ი. ნ. ციცაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის პირველი თერაპიის კათედრის გამგე პროფესორი ივსიხი ნიკოლოზის ძე **ციცაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1968 წლის 28 ნოემბერი.

განყოფილება მესამე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივ კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის სხდომა, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ამხ. მ. ბ. ღვინჯილიას მოხსენება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობაში რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომაზე აღნიშნული იყო, რომ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეიძუშავეს საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის სამწლიანი გეგმები. მათ ვალდებულება იკისრეს 1968—1970 წლებში თავიანთი სახსრებითა და ძალებით ააშენონ საყოფაცხოვრებო მომსახურების 2335 ობიექტი.

მიმდინარე წელს მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული ამ გეგმით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობის განსახორციელებლად. გორის, ზუგდიდის, წყალტუბოს, საჩხერის, მახარაძის რაიონებში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალი ობიექტი. ასევე სერიოზული მუშაობა წარმოებს ამ მიმართულებით წითელწყაროს, ადიგენის, ორჯონიკიძის, გურჯაანის, ჩხოროწყუს, ყვარლის, ბოლნისის და სხვა რაიონებში.

ამასთან ერთად აღინიშნა, რომ რიგი რაიონის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობის საქმეს.

საგარეჯოს რაიონის ზოგიერთ საბჭოში საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი არ არის.

დმანისის რაიონის 4 საბჭოთა მეურნეობიდან და 28 კოლმეურნეობიდან საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი 2 მეურნეობასა და 3 კოლმეურნეობას აქვს.

მცხეთის რაიონის მუხრანის სასწავლო-საცდელ, ნატახტარის მებოსტნეობა-მერძევეობის, ნიჩბისის საბჭოთა მეურნეობებში და ქსოვრისის კოლმეურნეობაში ჯერ დაწყებულიც კი არ არის 1968 წლის გეგმით გათვალისწინებულ საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა მშენებლობა.

ანალოგიურ შემთხვევებს ადგილი აქვს სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონებში.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ცუდად მარაგდებიან საჭირო მასალით, მოწყობილობებით, აკლიათ კვალიფიციური კადრები.

რიგი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებისა სისტემატურად არ იხილავენ საკითხს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტთა მშენებლობაში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მონაწილეობის შესახებ.

საკითხის განხილვის გამო კამათში მონაწილეობა მიიღეს: კომისიის წევრებმა, დეპუტატებმა: მ. ბერულაშვილმა, გ. ბიძინაშვილმა, ა. გონაშვილმა, ნ. ხორავამ, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრმა ფ. დუმბაძემ, სასოფლო მშენებლობის მინისტრის მოადგილემ ო. კერძაიამ.

კომისიამ განხილული საკითხის გამო მიიღო სათანადო დადგენილება.

განხილვის შედეგები შეაჯამა კომისიის თავმჯდომარემ ნ. ჟვანიამ.

კომისიის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

№ 11
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საინფორმაციო ცნობა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 18 აგვისტოს ბრძანებულების საფუძველზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1968 წლის 26 ნოემბრის ბრძანებულებით „სახელოვანი დედის“ ორდენებითა და „დედობის მედლით“ დააჯილდოვა 269 მრავალშვილიანი დედა, მათ შორის:

ქ. თბილისიდან		3
ბოგდანოვკის	რაიონიდან	10
გარდაბნის	„	186
ბორჯომის	„	6
თეთრიწყაროს	„	7
თიანეთის	„	5
ლაგოდეხის	„	16
საჩხერის	„	19
ქარელის	„	17